

რედაქცია

მოდინის (აბას-ბატის) მედანიზე, შორღანოვის სახლებში.

ხელის-მოსწრა

რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში. ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типлль. Въ редакцію газеты „Дроща“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. სალკე ნომერი — ერთი შაური.

ფრთხილი

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერონი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა. დაუბეჭდელი ხტატია ავტორს არ დაუბრუნდება

სამსახურლოებში საქმის მძიმეი თავადი გიორგი ალექსანდრ. მს ქმ ჩიქორანი კისრულობს უფასოდ შემადგომლობას, რომ თფილისის მახრის სამსახურლოს უფროსის ნორტარიუსისაგან აიღოს გირაობის მოწმობები იმ უძრავ მამულებზედ, რომელიც პატრონებს თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკში უნდათ დააგირაონ. მსუველებს შეუძლიანთ ნახონ მსხენებული ვექილი საადგილმამულო ბანკის სადგომში, ყოველდღე, კვირასა და უქმეებს გარდა, დილით — ცხრა საათიდან ათამდის და საღამოს — შეიდიდან რეამდის.

საქართველო

უადგილო აჯალ-მაჯალი

ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, თითქმის კვირა არ გასულა, რომ „დროების“ რედაქციას ორი-სამი ხტატია მაინც არ მოსილოდეს მუთათისის სასულიერო სასწავლებლის თაობაზე.

გეწერდნენ და გეწერენ, რომ ამ ჩვენს სასწავლებელში მასწავლებლებს შუა საშინელი პარტიობა ატყდა, უთანხმოება სუფევს, ერთი მეორეზე სჩივის, ამიერ-იმიერობა არისო და სხვ.

დღევანდელს „დროების“ ნომერში წაიკითხეთ ამ სასწავლებლის ზედამხედველის წერილს, რომელიც აცხადებს, რომ მასწავლებლებს შორის არავითარი უთანხმოება და განხეთქილება არც ყოფილა სექტემბერს აქეთ და არც არის

და არც მე, ზედამხედველს, მაქვს ვისთანმე სასულო და საპალატოა.

თუმცა ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, რომ შემცდარი ვიყენეთ ამაში; თუმცა უფ. ზედამხედველი ასე კატეგორიულად უარ-ჰყოფს ყოველი უთანხმოებისა და პარტიობის არსებობას მუთათისის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ თვით იმის წერილის გაცხარებული კილოდამ და სხვა მრავალი გარემოებიდან ცხადათ სჩანს, რომ ეს პარტიობა, საუბედუროთ, მართალი და ნამდვილი ფაქტია.

უსაფუძელო ხმები, მართალია, ჩვენში ხშირად გაეარდება ხოლმე; ხშირად უსაქმო ფანტაზიები ისეთს რასამე მოიგონებენ, შეთხზავენ ხოლმე, რომ არც მთისაა და არც ბარის.

მაგრამ ამ სასწავლებლის თაობაზე რომ ასე არ მომხდარა, ამას ჩვენ დარწმუნებით ვიტყვი: მთელი იმერეთი დიდის მწუხარებით ამბობს, რომ ჩვენს ერთად-ერთს სასულიერო სასწავლებელში უწყსობა ჰსუფევს; ამ ამბავმა გაზეთამდინაც მოაწია. მაშასადამე ამ ხმას, უტყველია, რამე საფუძველი უნდა ჰქონდეს, თუმცა ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, რომ ყველანი შემცდარი იყენენ, რომ მუთათისის სასულიერო სასწავლებელში არკადიის ნეტარება და მდემის მშვიდობიანობა ჰსუფევდეს.

მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, გარემოება და ფაქტები გვიმტკიცებენ, რომ, საუბედუროთ, ეს ასე არ არის.

და ეს დიდათ სამწუხაროა. დიდათ სამწუხაროა განსაკუთრებით ის გარემოება, რომ სასწავლებელში პარტიობა არის არა იმისთვის, თუ რომ

მელი მეთოდა და სისტემა სწავლისა სჯობიო (ამას კიდევ წარმოიდგენდა კაცი), მაგრამ პარტიობა ნაციონალური, ამიერ-იმიერობა, პარტიობა წერილმანი თავმოყვარობისა.

ჩვენ არ ვიცით და არც გვინდა აქ იმის განხილვაში შევიდეთ: თუ ორს ბანაკში ვინ არის მართალი და ვინ მტკუანი. მხოლოთ ეს ვიცით, რომ ამ გვარ უთანხმოებას ოსტატებს შუა უნგარიშო ენების მოტანა შეუძლიან სასწავლებლისათვის; ვიცით, რომ ის საზოგადო საქმე, რომლის მონაწილენი ერთი მარჯვნივ ეწევა, მეორე მარცხნივ, მესამე უკან, რომ ამ გვარი საქმე ვერ იხერებს, წინ წასვლისა და წარმატების ნაცვლად, ჯერ ერთ ალაგას შეჩერდება და მერე, თუ ვინმე ენერგიული საშუალება არ იხმარა, სულ დაიღუპება.

და თუ ეს უბრალო ჰქმნარტება არ ეხმის მუთათისის სასულიერო სასწავლებლის ოსტატებს, როგორ კეთილ ზნობით გავლენას უნდა მოველოდეთ მათგან შაგირდებზე? თუ თვითონ არ განთავისუფლებულან იმ ცრუმორწმუნეობისაგან, რომ მქართველი ვარ, ის კახელი, ეს იმერელი; თუ ის ვერ გაუგიათ, რომ ჩვენ ყველანი ქართველები ვართ; თუ თვითონ წერილმანი თავმოყვარობით არიან აღესილნი, — ვიმეორებთ: როგორ შეუძლიანთ იმათ საზოგადო, შკოლის საქმის წაყენა? როგორი შვილებს გამოზდას უნდა მოელოდნენ იმათგან ჩვენი მამები? ს. მესხი

დღიური

მუთათისიდან გეწერენ, რომ იქ პატარა წრე შემდგარა, რომელსაც

მილებსა და ინგლისელ ჯარს შუა. მიტყვით მხოლოთ, რომ ბოლოს შაშინგტონმა და იმის ამერიკელებმა ინგლისის ჯარის უფროსი, ლორდი კორნუალისის თავის შვიდი ათასი კაცით მიიმწყვდის იორკ-ტაუნთან და თოფ-იარაღი დააყრეინეს.

ამნაირათ, 1781 წელს ომიანობა გათავდა.

ორი წლის შემდეგ, 1783 წელს, შეკრეს მორიგების პირობა: აღრენდელმა ბატონმა-ინგლისმა-თავის გუშინდელი ყმა — ამერიკის ძოლონიები ძალა-უნებურად თავისუფალ სახელმწიფოდ აღიარა.

ამერიკის კალონიებისაგან შესდგა ამერიკის შეერთებული შტატების დიდებული რესპუბლიკა.

სუფლების იმედი დაეკარგა. ინგლისის ჯარს მხნეობა მიეცა და აჯანყებულების ხელ-ახლავ დამორჩილებას აპირებდა. ამ დროს მოეშველა ამერიკელებს საფრანგეთიდან გამოგზავნილი ჯარი. ამერიკის ელჩის, ჭრანკლინის შუამდგომლობით (რომელიც მაშინდელ საფრანგეთის კოროლთან ლუდოვიკო მეტექესმეტესთან იყო გაგზავნილი), ამერიკის თავისუფლების საქმეს ახალი დამხმარებელი გაუჩნდა: ლაჰაიეტი ექვსი ათასი ჯარით და ათი მილიონი ოქროთი მივიდა ამერიკაში და შეუერთდა შაშინგტონს ინგლისთან საბრძოლველად.

ჩვენ არ ჩამოვთვლით ყველა იმ უნგარიშო ბრძოლას და შეტაკებას, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში მოხდა ამერიკელ განდგო-

ქართული ხტამის გახსნა განუზრახავს. ჯერ-ჯერობით ამ წრეს ხტამისათვის ოთხასი მანეთი მოუგროვებია. ამასთანავე გვატყობინებენ, რომ ამ ხტამის დანიშნულება ის იქნებოა, რომ მხოლოთ ძველი ქართული წიგნები ბეჭდოსო.

იმ უთანხმოების თაობაზე, რომელიც მუთათისის სასულიერო სასწავლებლის ოსტატებს შუა ამტყდარა, მუთათისიდან გეწერენ, რომ უთანხმოება მხოლოთ იმათში ორ კაცს შუა არისო და დანარჩენი მასწავლებლები კი ყველანი თანხმობით მოქმედებენო. თუ ეს მართალია, ჩვენც ამის მეტი არა გვინდა რა...

„თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ მთავრობას დაუმტკიცებია თელავის უეზდის მნიხელის სოფლის საზოგადოების გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის (ბანკის) წესდება. იმავე გაზეთში სწერენ, რომ ბორის უეზდის სოფელს ტყეიავს სასოფლო ბანკის გამართვა გადაუწყვეტია.

ამბობენ, რომ სახელმწიფო ბანკს 3,000 მანეთის კრედიტი (სესხება) გადაუწყვეტია ოძისის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისათვის.

მს პირველი მაგალითია, რომ ხაზინა ჩვენში ამ სახით ეხმარება სახალხო ბანკის საქმეს. შეტყველია, ჩვენშიაც რომ ისეთი დაწესებულება იყოს, როგორც რუსეთის ზოგიერთ სხვა გუბერნიებში, ე. ი. რომ მთავრობა ამგვართ 500-1000 მანეთით ხელს მოუწყობდეს ყველა იმ სოფლის საზოგადოებას, რომელიც კი ბანკის განხის სურვილს განაცხა-

ფელტონი

გიორგი შაშინგტონი

(დასასრული)

1771-წლიდან დაწყებული ბრძოლა თითქმის ათი წლის განმავლობაში არ დაწყნარებულა. პირველმა გამარჯვებამ, ბოსტანის და სხვა ქალაქების აღებამ გაამხნევა აჯანყებულები. შევლგან, სადაც უფრო მომეტებული შიში და განსაცდელი იყო ბრძოლაში, ყველგან პირველად შაშინგტონი მიდიოდა წინ; ის თავის მაგალითით და სიტყვით ამხნეებდა აჯანყებულ თანამემამულეებსა.

მაგრამ ბოლოს, რამდენიმე დამარცხების შემდეგ, თითქო ხალხი დაღალაო, თითქო იმას განთავი-

ადვილათ წარმოსადგენია ის თავყენისცემა და სიყვარული, რომელიც უნდა აღედრა შაშინგტონს ამერიკელებში საზოგადო მამულის განთავისუფლებისათვის. შევლას ის მიანდა სამშობლოს ნამდვილ დამხსნელად. მთელი ამერიკა იმას შესცქეროდა, როგორც ღმერთს. მართი სიტყვის, თქმის მეტი არ უნდოდა, რომ ყოველად შემძლებელ მეფედ გამხდარიყო, რადგან ყველა დარწმუნებული იქნებოდა, რომ იმის ყოველად-შემძლებლობა ინგლისისას არ ემსგავსებოდა.

რამდენიმე მხრიდან კიდევ შეამლიც იმას მეფის გვირგვინი; მაგრამ შაშინგტონმა ფიცხლად უარიჰყო და დიდი უსიამოვნება განაცხადა ამისთანა „შეურაცხყოფისათვის.“ აი, როგორი მწარე სიტყვებით მიმართა



დებს, მაშინ ეს სოფლის ბანკები ჩვენში ძლიერ ადვილად გამრავლდებოდა.

მუთისიდან გვაცნობებენ, რომ იქაურს ოლქის სასამართლოში ამჟამად ერთს ძლიერ შესანიშნავ საქმეს არჩევენო. ამ საქმეს იმერეთში „შიქელაძეების საქმე“ ეძახიან, რადგან ბრალდებულად რამდენიმე შიქელაძენი არიან. მართლაც მოწმეების რიცხვი, როგორც გვეყენ, 300 კაცია თურმე და რადგან ამდენი ხალხი იქაურს ოლქის სასამართლოს სადგომში არ დაეტოვება, საზნაურო სახლი გაუმართავთ დროებით სამსაჯულოთ.

ჩვენ დაგვირდნენ ამ პროცესის აწერას და იმედი გვაქვს, მომავალ კვირაში მოკლეთ მანკ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

შოთიდან გვეყენ, რომ ამ უკანასკნელ დღეებში აქ საშინელი ცივი და ქარიშხალიანი ტაროსი დგასო.

იქილამე მოგვივიდა ამბავი, რომ რაც შოთის მაიაკთან სახაზინო ხის შენობები იყო, სულ გადიწვაო.

სამურზაყანოდამ შემდეგ ამბებს გვაცნობებენ:

20 თებერვლიდან ძლიერ ცუდი ამინდები დადგა სამურზაყანოში: ნიადგ ხან თოვლს და ხან წვიმა მოდის. ხალხი შევიწროებულია ცუდი ამინდისაგან, რადგან საკვები შემოვლიათ პირუტყვებისათვის. ცუდი ტაროსი აღარ ესაჭიროებოდა წელს პირუტყვებს, აქ უმისოთაც ბევრი დაიხოცა და ახლაც იხოცება ქართ...
*მურდობის მოსასპობათ ადგილობრით მცხოვრებლებმა მთავრობის შემწეობით ახალი განკარგულება მოახდინეს, რომლის წყალობითაც პირუტყვების ქურდობა აქ სრულებით მოსპო. აგერ მეოთხე თვე მიდის, რომ როგორც სამურზაყანოში, აგრეთვე მთელს აფხაზეთშიაც ქურდობა აღარ მომხდარა. ამ დღეებში მართებლობამ ხუთი კაცი გაგზავნა დროებით რუსეთში ს. ბელიასაგან წინაღული მათი ცუდი მოქმედებისათვის.
*მრთი გადაცვალებული ყმაწვილის მდგომარეობამ ძლიერ გააკვირა ზო-

გიერთი გაუნათლებელი სამურზაყანოელი. გადაცვალებულს სახე არ ეცვალა შესამჩნევად და ხელის თითებიც ეხრებოდა. თორმეტ დღეს მიცვალებული მიწაში დაუმარხავათ იყო და როგორც გავიგე, თურმე ზოგიერთები მის აღდგომას მოელოდნენ; მაგრამ რადგან აღარ გაცოცხლდა, შემდეგ დამარხეს და იმ რწმუნებით კი დარჩენ ზოგიერთები, რომ ის წმიდა კაცი არის და მას მიწა არ იხილავსო.

„ღღის რიცხვიდან მაზრის მართველი აქ წყებულობს კამერალის აღწერას. ღღის მის გამოცხადებას დაეწინააღმდეგა, საიდმაც სჩანს, რომ მას უნდა გაიგოს რამდენი არის ნამდვილი მცხოვრებლები სამურზაყანოში და აბხაზეთში. როგორც ამბობენ სამურზაყანოში გადმოსახლებულ საწყალ მეგრელებს არ უპირობენ აქ მიწის მიცემას. ღროებით გადმოსახლებული მეგრელები და სხვები ითვლებიან სამურზაყანოში 1500 მოსახლემდის.“

„ღ რ ო ს ე ა“ კ ო რ ა მ ს კ ო ნ დ ე ნ ც ი ა

ზორი, მარტის 12-ს

უკაცრავად „ღროების“ მკითხველებთან, რომ იმათ ზორიდან ნაცვლად კარგი, სასიამოვნო და ახალი ამბებისა მუდამ სამწუხარო, თავმო-საბუზრებელი და გაცვეთილი ამბები მოსდისთ ჩემგან; მაგრამ რა გავწყობა! იმედი მაქვს მომიტევებთ და არ მეტყვით: „უსაქმო ყოფილხარო“. რაც უნდა იყოს, თუ საინტერესო არა, ყურადღების ღირსი მაინც არის ამდენი ერთი და იმავეზედ ლაპარაკი. მაშ, თუ ნებას მომცემთ, დავიწყებ.

სოფ. ახალისაში (ზორზედ ახლოს არის) ერთ ოსს თავისი ძმა მოუკლავს დამბაჩათ. გამომძიებელი (უ. ტერ-სტ ფანოვი) ჩაფრებით და უეზდის დოქტორი (უ. სააკოვი) იქ იყვნენ გუშინ წინ. ეს ორი ძმა ოსი, ორიენი ცოლშვილიანები, ცალცალკე, მაგრამ ძრიელ ახლო ახლოს მდგარან. მრთ დღეს რაღაც ლაპარაკი მოსვლიათ ერთმანეთს შორის და

თავ-თავიანთ სახლებიდან ჩხუბობდნენ თურმე სიტყვიერად. ამ ლაპარაკში ერთ მათგანს აუღია დამბაჩა, კედლის ნახერეტიდგან დაუნიშნებია ძმისთვის და „ბრაგვანი!“ გაუკმენდინებია ხმა, მკვლელი, რომელსაც თურმე ეს მეორე გაუგზავნია საიქაოს, შეკრული ჩამოაბრძანეს ზორში. მოკლული (ეჭვი დღე კუბოში მდებარე) გაუჭრია დოქტორს და ტყვია გულში უზოვნია.

— მინ მოჰკლა ძმა შენი ქრმისა? ჰკითხა მს გამოძიებელი დედაკაცს.

— ნაი, ელდარ, ნაი! (არ ვიცი ბატონო, არ ვიცი) მიუგებს ოსის დედა-კაცი.

— როგორ არ იცი, რომ შენი ოთახ-დამ გაეარდა დამბაჩა? ხომ სახლში იყავი და გაიგონე ხმა?

— ნაი, ნაი, ელდარ!

ასე, რომ მიზეზი, თუ რისთვის მოხდა მკვლელობა, ვერ გაუგიათ, რადგან ყველანი მალამენ თურმე. გამომძიებელს უთქვამს მკვლელის ცოლისთვის, რომ იმას, თუ სურს, შეუძლია გათხოვდეს, რადგანაც ის თავის სიცოცხლეში ვერ ეღირსება ქრმის ნახვას.

ბუშინლამ ორი მალაზია გასტყეს აქ ქურდებმა ერთი როგორც გავიგონე, სულ გაუწმენდიათ, მეორედამ კი 25 მან. ფული და კარგი ზორბად კანფეტები გამოუტანიათ. აი ჰქვიანი ქურდები: კარგათ არ გაიტკბილებდნენ ენას!.. საკვირველია, რომ აქ საშინლად გახშირდა ამგვარი შემთხვევები. თუმცა სხვა ქალაქებიდანაც ისმის მზგავსი ამბები, მაგრამ აქ რომ არის ისე აღარ შეიძლება! ვის უნდა მიეწეროს ამისი მიზეზი? შეკველია იმათ... ნწუ! სჯობს, რომ აქ სიტყვა გავწყვიტო, თორემ...
ზორის ლოსპიტალი, ბევრი ხარჯის შესამცირებლად, უბრალო ლაზარეთად უნდა გადააკეთონო, ამბობენ. რევიზორიც იყო ამას წინათ და დაათვალიერა ლოსპიტლის მდგომარეობა.

„ბატონებს“ რაღაც „ჩუტ-ყავი-ლაც“ მიემატა და აღარ შორდებოდა ზორელებს. საცა უნდა გაიაროთ,

იმათ, ვინც იმას გამეფება სთხოვა: „მე ძლიერ მაკვირებს თქვენი თხოვნა! ვერ გამოგია, რომელმა ჩემმა სიტყვამ ან მოქმედებამ მოგცათ უფლება, რომ ჰხედეთ ისეთი რასმეის შეძლებას, რომელიც, ჩემის აზრით, ჩვენი ქვეყნისთვის ყველა უბედურებაზე გადაჭარბებული უბედურება იქნება.“

ხალხის წარმომადგენლებისაგან შედგენილმა პონგრესმა შეაძლია იმას ჯამაგირი, თვეში 2500 დოლარი; მაგრამ შაშინგტონმა სთქვა, რომ „ამდენი ფული ჩემთვის ერთობ ბევრიოა; ყოველთვეში ჩემი პატარა გასაყლის ანგარიშს წარმოგიდგენთ და თუ კონგრესი უარს არ მეტყვის

იმის გადახდისას, მაღლობელი ვიქნებიო.“

×

შაშინგტონი ამოიჩინეს ახლად დაფუძნებული ამერიკული შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტად. იმის პრეზიდენტობას დროს შეადგინეს ის მშენებელი კონსტიტუცია, რომლის ძალითაც ამერიკელ მოქალაქეებს სრული თავისუფლება: სტამბისა, კრებებისა, ამორჩევებისა, სარწმუნოებისა და სხვა ყოველგვარი უფლებები აქეთ მინიჭებული და რომლის წყალობით ეს ხალხი დღეს ასეთს სანატრელ მდგომარეობაშია.

პონსტიტუციაში დანიშნული ოთხი წლის ვადა რომ გაეიდა, კონგრესს და ხალხს უნდოდა, რომ შაშინგტონი ხელმეორეთ ამოერჩიათ

რესპუბლიკის პრეზიდენტად კიდევ ოთხი წლით. მაგრამ იმან გადაწყვეტით უარი სთქვა: ეშინოდა, ვაი თუ ამგვარი ორჯელ და სამჯერ ამორჩევით შემდეგში რომელმამე პრეზიდენტმა ისარგებლოს და გამეფება მოინდომოსო.

×

1797 წელს, როგორც უბრალო მოქალაქე, დაბრუნდა თავის სამშობლო სოფალში და ძველებურად შეუდგა მეურნეობას.

ორი წლის შემდეგ, სამოცდარვა წლის შაშინგტონი გადაიცვალა. იმის სიკვდილი მთელმა ამერიკამ იმგლოვიარა; და დღესაც, როგორც ამბობენ, თუ ამერიკელთან შაშინგტონის სახელი ახსენე, ის ამ დიდკაცის პატივისცემის ნიშნათ, ქუდს მოიხდისო.

ყველგან ყურს მოჰკრავთ, რომ ესა და ესა მოკვდაო, **შაშინგტონი** მოვლი და ცუდი ამინდები მოგვმორდა, როგორც იყო. ეს ოროსამი დღეა კარგა დათბა. მუხები და როტონდის პატარა ბალი მტკერის პირზედ კვირას შემოსილი იყო აყვავებული ქალ-კაცებითა.

მეჯერი-ხევს (15 ვერსია ზორიდან) შკოლის განსნას აპირებენ, ისეთი ვაგბერთელი ქეთიკრის სახლი აუშენებიათ თურმე, რომ აღარ ხუმრობენ, მგონია.

აბა, მეჯერის-ხველებო, შეამკეთ თქვენი, უამისოთაც თურმე შემკული შემდეგი სიტყვებით, სოფელი:

„მეჯერის ხეო, შეშკობილო, წინ მინდრო, უკან ტყეო, ძალებისა სათამაშო, ბიჭებისა საღბინოეო!“

თოფ. ქანდელაკი

შოთი, მარტის 10-ს

„ღროების“ მკითხველებს თავი კი მოვაწყინე ლაპარაკით სხვა და სხვა შენთხვევაებზე შოთში, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ერთი შესანიშნავი და ყურადღების მისაქცევი საქმე მოხდა, რომლის მსგავსი არ მომხდარა აქ — შოთში 1871 წლ. და ამ მიზეზით ვებდაე ეხლა რამოდენიმე სიტყვის მოხსენებას.

12 ამა მარტის თვისას, 4 საათზე ნაშუადღევს, მახლობლად ქალაქის სასაფლაოსისა, იპოვეს მოკლული შიშველი უცნობი კაცი, რომლის ტანისამოსი იქვე იყო დაწყობილი სუფთად, თითქო განგებ დაუწყვია კაცსო; გარეგანი შეხედულობით ეტყობოდა, რომ მოკლული იყო სპარსელი; ეს კაცი თუმცა მძიმეთ იყო დაჭრილი, მაგრამ თავის სისხლში სრულებით არ იყო გათხერილი და არც იმ არე-მარეზე ერთი წვეთი სისხლი არ იყო დაქცეული; ტანისამოსი არც დაჭრილი იყო და არც გასვრილი სისხლში. ამნაირმა ნიშნებმა პოლიციას მაშინვე აგრძობინა, რომ ეს უცნობი კაცი სადაც ნახეს, იქ მოკლული არ იყო, მხო-

პონგრესმა დაუდგა მას ამერიკის სატახტო ქალაქში მშვემიერი ძველი და თვითონ ამ ქალაქს იმის სახელი შაშინგტონი-დაარქვა.

×

ასეთი იყო ამ სამაგლითო კაცის ცხოვრება.

როგორც ხედავთ, შაშინგტონი არ იყო არც გენიოსი, არც გამოჩენილი მეცნიერი, არც დახელოვნებული დიპლომატი; ის იყო მხოლოდ უბრალო, პატიოსანი და უნგარო მეომარი თავის სამშობლოს კეთილდღეობისა.

ს. მესხი
პარიზი, 28 იანვარს 1874

ლოდ ის იყო ძილის დროს დახმობილი, ანუ მოწამლული ბინაზე და მერმეთ ქალაქის გარეთ გატანილი და დაჩხნილი (ყელგამოჭრილი საშობო ღორივით). იქვე მოკლულის ახლოს ნახეს ბილეთი, რომლისაგან გაიგეს, რომ ეს კაცი იყო სპარსელი ილია-ბაბა, 27 წლისა.

ამ საქმის გამოკვლევას შეუდგა მხურვალე გულით პოლიციის პრისტავი უ. შენია, რომელმაც თავის გამოკვლევით აღმოაჩინა შემდგომი: „ეს სპარსელი ილია-ბაბა ჩამოსულია თფილისიდან 10 ამ თვეს შოთში, აქ დაუჭვრია ოთახი ბერძნების ხარალამბის და იანის ტრაქტირში; შემდგომ ვეშამისა უკითხავს მზარეულისთვის, აქ შიშობა არის თუ არაო ქურდების განა, მზარეულს და უიმედებია ეს კაცი, უთქვამს, რომ აქ არაოდეს არ მომხდარა ქურდობა; მეორე დღეს ეს სპარსელი ბაზარში უჩახავსთ. როცა დაღამდა, ტრაქტირის პატრონს დაუწყია წუხილი და ძრწუნება: ჩემმა მდგმურმა დღეს შუადღისას დაკეტა ოთახიო, სადაც წავიდაო და მერმეთ უყურებ. მაგრამ არ მოსულაო, მეშინიაო, იქნება რამე უბედურება შეემთხვაო; წავიდა თურმე მდგმურის საძებრად. შემოუვლია მთელი ქალაქი, მაგრამ ვერსად ვერ უპოვნია.“

როცა ეს მოკლული ნახეს, მაშინ ტრაქტირის პატრონი ხარალამბიც წავიდა იქ და სანამ მოკლულის ახლო მივიდოდა და ახედ-დახედავდა მას, მანამ პოლიციიმეტრს განუცხადა ბერძნულ ენაზე, რომ ის მისი მდგმური არის, თუმცა მოკლული პირ დღმა იყო დაგდებული მიწაზე.

მთახი, რომელიც დაჭერილი ჰქონდა ამ მოკლულ სპარსელს, დაკეტილი ნახეს, როცა გაღეს, შიგ დიდი უწყსოება რამ იყო: სხვა და სხვა ნივთები და ლოგინი მინგრეულ-მონგრეული იყო ისრე, რომ კაცი იფიქრებდა, აქ დიდი ომი ყოფილაო, პოლზე ტახტის ქვეშ ქალაქში გამოხეული 300 მან. ნახეს; ოთახის ფანჯარა თუმცა დახურული იყო, მაგრამ ჩაკეტილი არ იყო და ზედ კაცის გადანაფლ-გადმონაფალი აჩნდა; პოლი ორ ალაგს სისხლით იყო გათქერილი; ამას გარდა იქვე მხლობლად ქალაქის ბღში ამ მოკლულის ნივთები ნახეს.—

ის შემოახანებული ნივნები ცხადთ გვიჩვენებს ჩვენ, რომ სპარსელი ილია-ბაბა ჯერ ოთახში იყო დახმობილი, მერმე იქვე გაყარული, ფინჯრიდან გამოტანილი გარეთ და იქიდან პირდაპირ წადებული საფლაოზედ. სადაც უმოწყალოთ დაჩხნეს, იმ განზახებით რომ ვითომ როცა გზაზე მოდიოდა, ავახაკებმა მოკლესო და გაყარესო.

ამ საქმის თაობაზე ტრაქტირის პატრონები ხარალამბი და იანის და მესამე მათი მოსამსახურე დაჭერილნი არიან.

წასრულს იანერის თვეში ორი ყმაწვილი, ერთი ღიღია 17 წ. და მეორე ქვერკველია 9 წ. უეცრად დაიხორცნენ; გამოძიებამ აღმოაჩინა,

რომ ეს ყმაწვილები მოწამლულნი იყვნენ. ბრალდებული ამ საქმეში ერთი მგერელთაგანი ხვინია დაჭერილია.

ამბობენ, რომ ღიღია ობოლი იყო და კარგი მამულის პატრონიო და ეს ხვინია რადგან მისი სიძე არისო, მან მოწამლა იმ განზახებით, რომ ყმაწვილის მამული მის ცოლს დაჩხნოდაო.

საქმეს კიდევ ჰო ქურდობა, აეკაცობა და ამ გვარი საქმეები, მაგრამ ზოგიერთ ქალებს რაღა უნდა? იანისც მამაკაცობას ჩემულობენ! მართი ყმაწვილი ქალი შევიდა ლუქანში პურის სასყიდლად, ამ დროს პურის მყიდველს არზიყო დაუწყო, თუმცა პურის მყიდველი უარს ჰყოფდა ქალის არზიყობას, მაგრამ არ ჩამოეთხოვა; ამ არზიყობაში ქალმა საწყალ მებურეს ჯიბეში ხელი ჩაჰარა და 500 მან. ფულათ-ფული ამოუღო და ექსილები შეიღას მან. და გაქუსლა შინისკენ. თუმცა ეს ქალი თავის თავს ბრალდებულით არ რაცხდა ამ საქმეში, მაგრამ გამოძიებამ დაძნალებით იცნა და დაატუსაღა.

ბ. შუთათაძე.

წერილი ჩედაქორთან

პატივცემული ჩედაქორო!

ბი, ეს მეორეთ, თუ მესამეთ გამოაცხადეთ თქვენ გაზეთში, რომ მუთაისის სასულიერო სასწავლებლის საქმე ცუდათ და ცუდათ მიდისო და სხ. ეს თქვენგნით გამოცხადებული ამბავი, დამყარებული, რასაკვირველია, ცრუ წერილებზედ, მალე საზოგადო პზრათ შეიქნება, თუ რომ ჯერეთ კიდევ არ არის გარდაქვეული.

მე აქნობამდის არა ვსთვლიდი საჭიროდ გამოვლაპარაკებოდი იმ ცრუ პირებს, რომელთაც არა რცხვენიათ აგეთი სიცრუის თქვენთან მოწერისთვის და საზოგადოებაში გავრცელებისათვის.

სიმართლე გითხრათ, არ მეცალა და არც ეხლა მცალიან მე მათთან სალაპარაკოთ. როდესაც კაცი საქმეზედა დგას, ანუ მიეჩქარება საითმე, მაშინ ის ზედაც არ შეხედამს წკვეწკა ლეკვებს: მან კარგათ იცის ის რომ, თუ ხელი აუქნია, ანუ ჯოხი მოუტურტურა, იგინი უფრო გამოეკიდებიან და უარესს იზამენ. მან ისიც კარგათ იცის, რომ, თუ მიუბრუნდათ და შემოუქნიათ ჯოხი, ანუ ქვა წამოუზუზუნათ, ბეჭებს ზემოთ აღარ ააწევენებს, რომელსაც კი მოახვედრებს; მაგრამ ამასაც არა შერება, რადგანაც ეცოდება საბრალო წკვეწკავანი, რომელთაც არა უწყვიან — რასა შერებიან.

ჰო, იმას ვამობდი; მე აქნობამდი საჭიროდ არა ვრაცხამდი პასუხის გება მეთქი და ეხლაც კალამს მოვჭიდებ ხელი არა მისთვისა, რომ ჩვენი ეზოს ნაგავი გამოვიტანო სასოფლოზედ და დაწერილებით შევატ-

ყობინო მკითხველ საზოგადოებას ნამდელი საქმე,— არა, მე ჯერეთ ამისთვის არ მცალიან, მხოლოდ გამართამთ თქვენ შემდეგის თხოვნით:

ძრიელ კარგი იქმნებოდა, რომ მოსთხოვოთ თქვენ იმ პირებს, რომელნიც, რასაკვირველია, თქვენ კარგათ ეცოდინებათ, მოსთხოვოთ მეთქი ფაქტიკური დამტკიცებაები იმ პზრისა, რომელიც თქვენ გამოაცხადებინეს. მასთან გამოგვიცხადოთ იმ პირების სახელ-გვარიც. საქმე თქმა კი არ არის, მისი დამტკიცება. იმითი განიჩევა სიმართლე სიცრუიდგან, რომ პირველსა ლაპარაკობენ თვით ფაქტები, და მეორეს კი მართა სიტყვები. მაშ ამა მოსთხოვეთ და გამოგვიცხადეთ:

1) რა ძველი წესები მოვსპთ ჩვენ სასწავლებელში?

2) რა განხეთკილება არის აქაურ მასწავლებლებთ შორის? რომლები მათთაგანი არიან ერთმანეთთან წაკიდებულინი და ანუ რაზედ?

3) რა ამბავი იყო ზედამხედველსა და ერთ მასწავლებელს შუა, რომელიც ჯერეთ ებისკოპოსთან არის გასარჩევად და მალე პალატაში გადმოვა?

მე ჩემის მხრით ვაცხადებ და დამემოწმება კიდევ ამაში მთავრობა აქაური და მრთელი მასწავლებლობაც, რომ აქ არავითარი ძველი წესთაგანი არ მოსპობილა, რომ მასწავლებლებთ შორის არავითარი უთანხმოება და განხეთკილება არც ყოფილა სექტემბრის აქეთ და არც მე, ზედამხედველს, მაქვს რამ ეისთანმე სასულა და სპალატა.

მაშ, სად არის სათაური აგეთი ხმებისა? მკითხამთ თქვენა.

იქ, ჩემო ბატონო, სადაც მართალი, პირ-და-პირობა, ერთგულობა შეეტაკება სიცრუეს, ბოროტ მოქმედებას, ორგულობას, სადაც სიცრულეტეს, უსინდისოთ საქმის მოპყრობას უკან აედევნება განხილვითი წლამდე, როცა ისინი საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ ბონ პარტმა სიტყვა. მან ტყუილათ უთქვამსთ ჩვენს წინაპართა: „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყვანდესო.“ მართალს ყოველთვის და ყოველგან აჯანყებია სიცრუე, ბოროტება და დროებითი ძღვევა კიდევ აულია მაზედ, მაგრამ მართა დროებითი... მრთელი წარსული და აწმყო ცხოვრება კაცობრიობისა სავსეა ამისთანა მაგალითებით.

მ. ასათიანი.

რუსეთი

ერთ რუსულ გაზეთში სწერია, რომ თათრები, რომელნიც პეტერბურღში სცხოვრობენ, თათრული შკოლის გამართვას აპირებენო.

ამენეც-პოდოლსკის ახლო სოფლებში გავარდნილა ხმა, რომ 16-20 წლის გასათხოვარი ქალები ზოგი ინგლისში უნდა გაგზავნონ და ზოგი ძაეკასიაშია. ზოგი ერთ-

ისე დაჯერებულა ამ კორში, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა და სიკვდილი განუზრახიათ. ამბობენ იმასაც, რომ ზოგიერთებს კიდევ დაუხრჩიათ თავი.

მოდესის ოლქის სასამართლოში ადგილობრივი „მოამბის“ სიტყვით, მალე გაიჩევა საქმე, რომელშიაც ურევიათ რუსეთის ქვეშევრდომი ზიგო მოდუა და პლექსანდრე მოდუა. ამათ აბრალდებენ იმას, რომ 1874 წელს ქალაქს ძოსტანტინოპოლში დაეთანხმენ ერთმანეთს მიეყიდნათ სულთანის ჰარემებისთვის პირველს თავისი ქალი, მეორეს თავისი და მეფროსინე მოდუა.

მაგრამ ამათ თავის განზრახვა ვერ აუსრულებიათ, რადგან საქმე გამოამკარავებულოყო და რუსის კონსულს დაექარა ისინი ძოსტანტინოპოლში. მა საქმე გაიჩევა მარტის 27-ს

ერთს რუსის გაზეთს გაუგონია, რომ რადგანაც სოფელში დათხოვნას შევირდებზე ცული გავლენა აქვს იმითო, რომ ამ ხნის განმავლობაში ყმაწვილები სრულებით იფიწყებენ — რაც სწაუელიათო, ამის გამო ჩვენში სდგება იმისთანა პედაგოგების საზოგადოება, რომელსაც სახეში აქვს გამართოს უპირველეს ადგილებში „სახაფხულო გასამეორებელი კლასები“, რომლებშიაც სწავლა ყოველ დღე სამ საათამდინ უნდა გაგძელდესო და იმისთანა გონების ვარჯიშებაში გაატარებენ დროსაო, რომ ნაწელი აღარ დაიფყვებათო. აქ სწავლის ფასი ძრიელ ნაკლები იქნებაო.

მ. წარსულ იანვარს სვირსკის უფლის სოფელს პუსტოვაროვკაში ერთი გლეხ კაცის ცოლს მელანიას უშობნია მკვდარი ბავშვი, რომელსაც ორი თავი ჰქონია, ოთხი ხელი, ერთი მუცელი და ორი ფეხი. ეს მხინჯი, როგორც „ძივის გუბერნიის უწყებებში“ სწერია, სვირსკის ეპიშოპის გადაუტიათ.

ქრონიკა

ისტორიკოსების ჰზრი მართვა-ლეზე

სტატია VI

რუსის ისტორიკოსი ძარამზინი ქართველების წარჩინებაზე ამბობს:

„ისტორიკოსები საქართველოს სამეფოს ძველის ძველადგანვე წარმოგვიდგენენ სიმდიდრით და ხალხის სამხედრო სიქველით უძღვევლად მეომარი სპარსელებისა და მკედონელებისთვის და პომპეისათვის კი სახელოვან ლაშქრობად“. (Ист. Госуд. Росс. Карамз. т. X стр. 63 1824 г.). ამას უფ. მელიტონი შამინ-საგერელი ზედ დაურთავს თავის თხზულებაში სათაურით: „Грузинская церковь, свидѣтельница православія русскои церкви“, შემდეგ სიტყვებს: „ქრისტიანობაშია ქართველები ძალიან სახელგანთქკულნი იყვნენ ყველა ხალხებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთში.“

მხოლოდ იმათთვის იყო მიცემული ნება, რომ ემგზავნათ წმინდა ადგილებში უსასყიდლოდ, იერუსალიმში შესვლა გაშლილის სეფე დროებით, ტარება იარაღისა შუა წმინდა ქალაქისა რაგორც ვაჭ-კაცებისათვის, აგრეთვე დედაკაცებისათვისა ბერძენები ხშირად ეძებდნენ იმათთან კავშირსა, თითქმის მმფარველობასა და დაცვასაც მტერთაგან; ასე რომ შემდეგ იმპერიის დამხობისა საქართველოში შესვლა ბერძენებისაგან მთელი ეპარხია, რომელშიაც 1827 წლამდე ეპისკოპოსად იყო ბერძენი და მორჩილებდა საქართველოს ქათალიკოსს. თურქები და მგვიპტის სულთანი ქართველებისაგან აღგენდნენ ჯარებს; შედეგები ფულით ქირაობდნენ ქართველებს თავიანთ ლაშქრობისათვის; ისინი იყენებდნენ როგორც ლაშქრობაში, როგორც დახლოებულნი და ღეთის—მოსაყენი მემარხი მხედრები; მიუთათვის ჯვაროსნულ ლაშქრობის ისტორიაში მოწმობს, რომ თურქებს ისრეთი პატივისცემა ჰქონდათ ქართველებისა, რომ იმათ ქართველის ლმობიერის ლოცვის დაშლა არავის შეეძლო. იმათ სამხედრო მამაცობაზე, და აგრეთვე დედაკაცებისაზე ლაპარაკობენ მრავალი მწერალნიცა (გვ. 21 და 22).“

ამ ზემო-მოყვანილ სიტყვებში მოხსენებული ქართველებისგან შემდგარ მგვიპტის სულთნის ჯარებს უწოდებდნენ მამელიუკებად, თურქების სულთნის ჯარს კი იანიჩარად. ისინი შეადგენდნენ სულთნების დეარდიას. აი ამაზე ამბობენ ისტორიკოსები, რომ ესენი გამახმადიანებული ქართველები იყვნენო. მსენი 1291 წელს ისე გაძლიერდნენ, რომ შამის (სირიის) ქრისტიანები გარეკეს და თითონ დაიპყრეს პტოლემიდაო. ამის შემდეგ მამელიუკებმა მოჰკლეს მგვიპტის სულთანი და გაასულთნეს ერთი თავიანთთაგანი გამახმადიანებული ქართველი. შექედგან დაწყებული იმათი უფლება, 1798 დაამარცხა, არ გაუქმებულა მგვიპტეში.

მე ვფიქრობ, რომ ეს მამელიუ-

კები მაშინ გამახმადიანდნენ, როცა ქართველთა ჯარები მონგოლებს რიგ-რიგობით ულაშქრებდნენ, საცა კი ისინი იტყოდნენ. მაგრამ მომეტებული მათგანი მაშინ გამახმადიანდა, როცა მარბაღა ყინმა მეფე მახთანგი მესამე მთელის თავის ქართველთა ჯარით 1307 წელს ხორასანში დაიბარა და უთხრა, რომ ყველამ მახმადიანობა უნდა მიიღოთო. მაგრამ მახთანგმა წაუშვირა კისერი და უთხრა, რომ აბა, მომკვეთე კისერიო, თუ გსურსო, მეკი მახმადიანობის მიღება არ შემიძლიანო.

შექველია, რომ ვიცოდე სპარსული, არაბული და სხვა ენის ხალხების ენა იმოდენათ, რომ შემეძლოს მათი მატანების კითხვა, მერავალს ქებას მოვიყვანიდი ქართველების წარსულს მხედრულს დიდებაზე და ვაჭკაცობაზე; მაგრამ ვიჩვენეს ცოდვის კითხვას, რომ არც მე და არც სხვა ვინმე ქართველმა არ იცის, რომ გადმომცეს მაინც არის ისტორიული ცნობები. მართალია, სხვათა სიტყვით ლაპარაკი არ არის კარგი, მაგრამ სულ არარობას ცალქ უღელი ხარი ჰსჯობიაო, ნათქვამია.

ინგლო ჯანაშვილი.

თფილისის სამაჰრანალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათამდე ვიდრე 1 საათამდე

მ. რ. შ. ა. თ. ს. ექიმი მინკვეინი — ხირურგიის, პარყნიცი — ემაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავთმყოფებისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფობისა.

სამ შ. ა. თ. ს. პარყნიცი — ემაწვი, ქალებისა და ვენერიული ავთმყოფობისათვის
ხ. თ. შ. ა. თ. ს. პარყნიცი ემაწვი, ქალებისა და ვენერიული ავთმყოფობისა. მარკაროვი და ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

პარასკევს: მინკვეინი — ხირურგიისა, პარყნიცი — ემაწვი, ქალებს და ვენერა ავთმყოფ., ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

შ. ა. თ. ს. მარკაროვი და ლისიცივი შინაგანი ავთმყოფობისათვის.

განცხადებანი

გასყიდვა

ახლად გამართული ვენერისული მალაზია

სასახლის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, ჩარახჩიანცის მალაზიის გვერდით.

მალაზია არის გახსნილი მოკლე ხნით

მალაზიაში იზოგება ყოველგვარი საცვალეი კაცისა, ქალისა და აგრეთვე ყმაწვილებისათვის; ჰოლონდის, ბელგის, საქონის, ბოჰემისა და რუსეთის ტილო, ტილოსა და ბატისტის ცხვირ-სახოცები, იუბკები, პენუარები, პოსახოცები, საღვთელები და სტოლის საცვალეი 6, 12, 18 და 24 პირისათვის.

ამას გარდა, წინდები და სხვა საქონელი, რომელიც კარვის-კურანტშია მოხსენებული.

რადგანაც განზრახვა მაქვს, რომ მალე სამზღვარ გარეთ უნდა წავიდე, ამის გამო მალაზია მხოლოდ მოკლემ ხანს იქნება და ამის გამო იმედი მაქვს, რომ აქაური პატრეცემული საზოგადოება ისარგებლებს ამ შემთხვევით და უყურადღებოდ არ დაგდებს ჩემს მალაზიას.

შესანიშნავი

იაფობა

მალაზიის პროსპექტზე, პოდპოლკოვნიცის ზაერისის სახლებში, „ამერიკის“ სასტუმროს გვერდით, არა ჩვეულებრივმა ვაჭრობის სიძაბუნემ და ფულის კრიზისმა მიიძულა მე

მოკლეს ხნით

მოვსულთყავ ქ. თფილისში ახალის და ნაირ-ნაირის საქონელით.

მაქვს ყოველგვარი თეთრკული, ტილოს სამონაწილე, მინეული

რადგანაც მსურს, რომ ჩემი საქონელი რაც შეიძლება მსწრაფლად გაყიდო, ამის გამო გადაწყვიტე რომ ყველა საქონლის ფასზე 25% დაუკლო და ამ ნაირად კონკურენცია ავიცალო ჩემს მალაზიას, რომელიც სხვა მალაზიებზე უფრო იაფად გაჰყიდის.

შემორჩილესად ესთნოვ პატივსამულ საზოგადოებას მიაქციოს ყურადღება პრის-კურანტს, რომელიც ჩემს ზემოხსენებულს მალაზიაში იზოგება.

აქვე ისყიდება ყოველგვარი სამზითეო თეთრკული.

ოღმისის ვაჭარი მ. ჩრის.

ქუჩისაში, მალაკანის სლაზოდ-კაში, მალაკანის მემლიანოვის სახლის გვერდით, ჩრდილოეთით, ისპიღება 750 საჰენი მიწა. დაწერილებით პირობების შეტყობა, ვისაც ამ ადგილის ყიდვა ჰსურს, შელიხოვცის ცოლთან შეიძლება, მოდოვანის ქუჩაზე, აივანოვის სახლებში.

„დროების“ ფოტო

— ი. გ — ს, ს — ს. თქვენგან შემოთვლილი წიგნი ხვალ გაეგზავნება აღნიშნულის ადრესით, რადგან ადრე ფოტო არ მიდიოდა.

— ი. ჯ — ს, მ — ს. მელიქიშვილის სტამბაში არ არის გასასყიდი, რასაც თქვენ იწერებთ. სხვაგან სტამბებში ჯერ ვერ მოვაწვრეთ კითხვა, მალე შევიტყობთ და ყელაფერს დაწერილებით ცალკე წერილით შეგატყობინებთ.

— ტ. ს — ს, მ — ს. რედაქციაში ერთბაშე ბევრი სტატიებია მოგროვებული და ამიტომ თქვენი სტატიის წაითხვა და დაფასება ჯერ ვერ მოვაწვრით. მომავალ კვირაში პასუხს შეგატყობინებთ. ნუ აჩქარებულხართ...
— X — ს, Z — ს. მასაკვირველია, რად შეგაშინათ მაგრე მწარედ „დროების“ ფოტო? არაფერს მოგწერთ, რაზანც თქვენი ნება...
— ი. გ — ს, ს — ს. თქვენგან შემოთვლილი წიგნი ხვალ გაეგზავნება აღნიშნულის ადრესით, რადგან ადრე ფოტო არ მიდიოდა.

რ. ზ. ა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გემები	ფოტო	გირქა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი.	8 18	8 17			ა) შოთილამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 9 მარტს.		თფილისი, 15 მარტს.	
ცუქია.	9 18	10 —	68	38	მდესისკენ — ხუთშაბ. საღ. 6 საათ.	სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:	— 84	პური შორაგალის ფთ.	120
ზორი	11 39	1 43	2 40	1 23	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 3 3/4 პენსი.	— 89	ჭერი ფუთი.	60
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18	ბ) სიხუმრიდამ:	ოთხშ., მსურგეთს — პარასკე და	პარიჟში 350 1/4 სანტიმი.	6 —	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	460
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46	შოთს — ოთხშაბათს, ღამით.	შ. ბ. ბ. ბ. — ორშ. სამშაუ. და	მსკონტი (სარგებლობის ფასი)	98 25	— ამერიკისა, ფუთი.	670
შვირილა	6 49		5 81	3 23	მდესას — პარასკევს. გათენებისას	შ. ბ. ახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	198 25	ბაგენტილი ბამბა ფთ.	8 —
შუთაისი.	7 55		6 75	3 75	შოთილამ: I II III	ბ) შუთაისი დამ:	მოგებიანი (პირველისესხი)	195 —	მატული თუშური ფთ.	6 —
სამბრედია	9 2		7 73	4 29	სიხუმამდი . 4 " 3 " 1 "	თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ	მოგებიანი (მეორე სესხი)		— ორქაქამისა ფთ.	360
ახ.-სენაკი.	10		8 57	4 76	მერამდი . 20 50 15 50 5 "	ველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ.	გირკონი (მეორე სესხი)		აბრეშუმი ნუშური გრ.	260
შოთი.	11		9 75	5 42	ტაგანოვ. 34 " 27 " 8 60	— ოთხშაბ.	მოგებიანი (მეორე სესხი)		ჭონი, ფუთი.	440
					მდესამდი. 38 " 30 " 9 60	გ) ბორიდამ.	გირკონი (მეორე სესხი)		ჭონის სანთელი ფუთი.	560
შოთი	7 38					შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	ბანკის ბილეთი 5%	87 50	სტარინის სანთელი, ფ.	1020
ახ.-სენაკი.	9 11		1 18	66			ბანკის ბილეთი 5%	86 50	ხორცი ორხისა, ლიტ.	90
სამბრედია.	10 12		2 6	114	ტელეგრაფი მ. კაპ		ბანკის ბილეთი 5%		— ცხვისა, ლიტრა.	1 —
შუთაისი	11 17		3 4	169	მ. ცი სიტყვა თფილისილამ:		ბანკის ბილეთი 5%		სპირტი, ვედრო.	7 —
შვირილნი	12 38		3 98	2 21	შუთაისს, შოთს . . . 1 —		ბანკის ბილეთი 5%		შაქარი, კარგი ფუთი.	855
ბეჟათუბანი	3 27	ლაშე	5 33	2 96	ზორს, დეშეთს, სიღნახს . . . 50		ბანკის ბილეთი 5%		— ფხვნილი ფუთი.	690
სურამი	4 57	12 30	5 84	3 24	რუსტოვს მდესას მოსკოვს 2 —		ბანკის ბილეთი 5%		შავა გრგვალის ფუთი.	19 —
ზორი	7 23	3 31	7 36	4 9	პეტერბურგს, მარშავს . . . 2 —		ბანკის ბილეთი 5%		ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	640
მცხეთა	9 52		9 8	5 4	მსპალეთში, შვეიცარიაში 3 —		ბანკის ბილეთი 5%		მჭრო 1/2 იმპერიალი.	589
თფილისი	10 49	8 2	9 75	5 42	იტალიაში და საფრანგეთში. 3 50		ბანკის ბილეთი 5%			
					ინგლისში. 3 75					